ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 20

12 თებერვალი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ე. კუხიანიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი, გ. გოცირიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ზაზა ცინაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. გიორგი გეგეჭკორი - საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი;
4. არჩილ ხეთაგური - ა(ა)იპ "Noosfera Foundation"-ის წარმომადგენელი;
5. სოფიო ლობჟანიძე - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენელი;
6. თამარ ლიჩელი - კლასიკური მუსიკის ფონდი
7. მანანა ხვედელიძე - კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი
8. თევდორე მაყაშვილი - კომპანია Funday Entertainment-ის წარმომადგენელი;
9. გიორგი სპანდერაშვილი - თანამედროვე ხელოვნების ცენტრის წარმომადგენელი;
10. გაგა ჩხეიძე - თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ხელმძღვანელი;
11. ნატა ლომოური - მწერალთა სახლის დირექტორ;
12. ლიზა რომანოვსკაია - სიზმარი
13. ვახტანგ წერეთელი - თანამედროვე ხელოვნების ცენტრის წარმომადგენელი;
14. ნანა ყირმელაშვილი - პრინტ ფესტივალის წარმომადგენელი;
15. სანდრო კაპანაძე - შ.პ.ს ენსო პლიუსი-ს წარმომადგენელი;
16. ნინო ჭანკოტაძე - კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის წარმომადგენელი;

17. მაკა დვალიშვილი - ტრადიციული რეწვისა და დიზაინის თბილისის საერთაშორისო სამიტის (ეთნო ფესტი) წარმომადგენელი;
18. გიორგი ხარშილაძე - მუსიკალური ფესტივალის წარმომადგენელი;
19. ციური კაპანაძე - ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის წარმომადგენელი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე). დეპუტატმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (#12-031903982-03; 08.02.2019).**

   მომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი

   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

   მე-2 მომხსენებელი: ბატონი ზაზა ცინაძე

   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომას ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებიან იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დედაქალაქში ქმნიან შემოქმედებით-ინტელექტუალურ და კულტურულ გარემოს. დეპუტატის თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიის მიზანია, რომ ყველა დადგენილების მირების პროცესში, რომელზეც მუშაობს, ჩართული იყოს სფეროში მოღვაწე ადამიანები და ორგანიზაციები, რათა მათთვის ცხადი და

ნათელი იყოს, თუ რა მიმართულებით მიდის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, რა ძირითადი სიახლეები, პრინციპები და კრიტერიუმები შემოაქვს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განიხილება დედაქალაქის კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალურ-საგანმანათლებო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მიზნად ისახავს კულტურისა და განათლების სფეროების და იქ მომუშავე ორგანიზაციებისა და ადამიანების ხელშეწყობას.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის უპირველესი ამოცანაა, რომ ყველა წესი, რომელსაც ეფუძნება დედაქალაქის ბიუჯეტის შესრულება განათლებისა და კულტურის მიმართულებით, იყოს მაქსიმალურად გამჭირვალე და ხელი შეუწყოს კონკურენტული გარემოს შექმნას.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ უკვე გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც იმსჯელეს მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას წარმოადგენდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეები ქალბატონი მაკა ნასრაშვილი და ბატონი ზაზა ცინაძე, რის შემდეგაც სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდება.

მოისმინეს:

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს სამი საბიუჯეტო პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 13) ფარგლებში თავისუფალი პროექტების დაფინანსების წესს. „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 05) მოიცავს სამ მიმართულებას: <u>პირველი</u> ფესტივალები და კონკურსები, სადაც წარმოდგენილია თბილისის მასშტაბით მიმდინარე ყველაზე დიდი ღონისძიებები, რომლებიც წლების განმავლობაში დედაქალაქის მუნიციპალიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან თუ Chek In Georgia-დან ფინანსდება. ქალბატონი მაკა ნასრაშვილის ინფორმაციით, <u>მეორე</u> ქვეპროგრამა არის „დაძმობილებულ და პარტნიორ ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია“, რომელიც ძველი პროგრამაა და უკვე არაერთი წელია ხორციელდება. <u>მესამე</u> ქვეპროგრამაა „რელიგიური

და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დღესასწაულების გამართვა და ხელშეწყობა ქალაქ თბილისის მასშტაბით“, რომელშიც შედის ეთნიკური უმცირესობებიც: ნოვრუზ ბაირამი და სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების სახალხო დღესასწაულების დაფინანსება/აღნიშვნის უზრუნველყოფა.

ქალბატონი მაკას თქმით, საპროექტო განაცხადებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, დაკომპლექტებულია დარგის სპეციალისტი გარე მოწვეული ექსპერტებით. 20 000 ლარამდე ღირებულების პროექტების ხელშეწყობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, ხოლო 20 000 ლარზე მეტის ღირებულების პროგრამები გადის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე. დაფინანსების შემთხვევაში, გამოიცემა ქალაქ თბილისის მერიის მთავრობის განკარგულება.

ქალბატონი მაკას განმარტებით, მოქმედ წესთან შედარებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ითვალისწინებს, რომ საპროექტო განაცხადი თბილისის მერიაში უნდა შევიდეს პროექტის დაწყებამდე 20 კალენდარული დღით ადრე, ნაცვლად 40-ისა.

მომხსენებლის თქმით, 2018 წელს პროგრამა „თბილისის ცის ქვეშ“ საპილოტედ განხორციელდა, რომელიც მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციის შედეგად, რომელიც თბილისის ყველა უბნის გამოცოცხლების მიზნით, დედაქალაქის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განშლას ითვალისწინებს, თითოეულ მაჟორიტარს შეეძლება საკუთარ სამაჟორიტარო ტერიტორიაზე მონიშნოს სკვერები, პარკები და სხვადასხვა ადგილები, სადაც მოეწყობა გარე კინო ჩვენებები, საჯარო კონცერტები და სხვა ღონისძიებები.

„ინკლუზიური კულტურის ხელშეწყობის პროგრამასთან“ დაკავშირებით, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით 2015 წლიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დააფინანსა, 2019 წელს კი სიახლეა, რომ გაერთიანდა ინკლუზიური კულტურის და ინკლუზიური განათლების პროგრამები, რაც გამოწვეულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების გაერთიანებით. მომხსენებლის ინფორმაციით, ინკლუზიური განათლებისა და კულტურის პროგრამების განსახილველად ჩამოყალიბდება სპეციალური კომისია, რომელიც დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტდება და იმსჯელებს ხსენებული პროგრამების ხელშეწყობის საკითხებზე მთელი თბილისის მასშტაბით.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ასევე ისაუბრა ახალ საბიუჯეტო პროგრამაზე „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09), რომელიც პროგრამის "Creative Europe“-ის გამოძახილია და ეყრდნობა "Creative Europe“-ის პრიორიტეტებს. საბიუჯეტო შეზღუდულობიდან გამომდინარე, დასაწყისისთვის შეირჩა მხოლოდ სამი პრიორიტეტული მიმართულება: საგამომცემლო საქმიანობა, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, საშემსრულებლო ხელოვნება.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის თქმით, აღნიშნული სამი ძირითადი პრიორიტეტი კონკურსის წესით გამოცხადდება, წელიწადში არანაკლებ ორჯერ, შეიქმნება ვებ-გვერდი www.Culture.Tbilisi.Gov.ge, რომელზეც დაინტერესებულ სუბიექტებს შეეძლებათ პირდაპირ, ონლაინ-აპლიკაციით გააკეთონ განაცხადი და ყველა განაცხადი, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს გავა კომისიაზე. საიტზე განთავსებული მონაცემები საჯარო იქნება, გარდა აპლიკანტთა პერსონალური მონაცემებისა. დაინტერესებული სუბიექტები ვებ-გვერდზე ნახავენ თუ ჯამურად რამდენი განაცხადი შევიდა ქალაქ თბილისის მერიაში თითოეული ქვესექტორის მიხედვით და რამდენი დაფინანსდება. ასევე გაკეთდება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების, ვიზუალური ხელოვნების და საგამომცემლო სფეროში მოღვაწე სუბიექტების ელექტრონული ბაზაც.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ მაკა ნასრაშვილს ინფორმაციის წამორდგენისა და თანამშრომლობისთვის. დეპუტატმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისას მერიას წარუდგინა რეკომენდაცია, რომ ქალაქ თბილისის მასშტაბით შეიქმნას ცალკეული კულტურული ღონისძიებების რუკა და კალენდარი, რისთვისაც კომისიის სამდივნო თითოეული მაჟორიტარი დეპუტატთან თანამშრომლობით მოამზადებს შესაბამისი მისამართების ბაზას, რომელსაც უახლოეს დროში მიაწვდის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ინკლუზიურ პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლება კომისიისთვის პირველხარისხოვანია და მიესალმება განათლებისა და კულტურის მიმართულებების გაერთიანებას.

პროგრამა „შემოქმედებით თბილისთან“ მიმართებით კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ საერთოდ არავინ საუბრობდა კრეატიული ინდუსტრიებისა და მათი ხელშემწყობი პროგრამების შესახებ, 2014 წლიდან კი განათლებისა და კულტურის კომისიამ არაერთი ნაბიჯი გადადგა, რათა შემოქმედებითი ინდუსტრიები და შემოქმედებითი ხელოვნება გამხდარიყო დედაქალაქის კულტურის შემადგენელი ნაწილი. პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ მალე სერიოზული მექანიზმით

აღიჭურვება - ექნება ელექტრონული აპლიკაცია და დაუახლოვდება "Creative Europe"-ის პრინციპებს.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ ზაზა ცინაძეს, რომელმაც განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართ 2-ში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08 08 01) განხორციელების წესში, განათლების მიმართულებით არსებითი ცვლილებები არ ხორციელდება. ამჟამად მოქმედი წესი, ფაქტობრივად, უცვლელია განათლების ნაწილში; დაზუსტდა პროგრამების დასათაურება, რაც ტექნიკური ხასიათის ცვლილებაა. რაც შეეხება სიახლეს, დადგენილების პროექტით, ზუსტდება განმცხადებლების მიერ საქალაქო სამსახურში წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მერიის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაციისთვის და სხდომის მონაწილეებს სთხოვა კითხვების, მოსაზრებებისა და წინადადებების წარმოდგენა.

კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, ხომ არ არსებობს წინასწარი გათვლები, თუ რამდენი პროექტი შეიძლება დაფინანსდეს 20 000 ლარს ქვემოთ და უპირატესობა ხომ არ მიენიჭება უფრო ძვირიანი პროექტების დაფინანსებას. რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ სტატისტიკურად, საშემსრულებლო და თეატრალური ხელოვნების ნაწილში, პროექტების მაქსიმალური ღირებულება 20 000 ლარია და კულტურის პროექტებზე თბილისის მერიისთვის წარდგენილი საპროექტო განაცხადების უმრავლესობის ღირებულება 15-დან 20 ათას ლარამდე მერყეობს.

კომისიის წევრი, ქალბატონი გულია გოცირიძე დაინტერესდა პროექტების დაფინანსების ზედა ზღვარი, რაზეც მერიის წარმომადგენელმა განუმარტა, რომ ამგვარი ზღვარი არ არსებობს. საკითხთან დაკავშირებით, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა შესაძლებელია თუ არა, რომ საბიუჯეტო თანხა მთლიანად ერთი პროექტის დაფინანსებას მოხმარდეს, რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ ამგვარი რამ ვერ მოხდება, რადგან მერიის საქალაქო სამსახურს აქვს კალენდარი და კვარტალური გადანაწილება.

ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა წესში ჩანაწერის არსებობა, რომ აღნიშნული თავისუფალი პროექტებისთვის განკუთვნილი თანხა სრულად მოხმარდება მხოლოდ ერთ პროექტს, რომლის ღირებულებაც ამავე თანხას გაუტოლდება და არა ნაკლები ღირებულების მრავალ პროექტს. რაზეც პასუხად ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთ პროექტზე ამ საბიუჯეტო თანხის დახარჯვა და სხვა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაუფინანსებლობა არასამართლიანია და ამიტომ, ეს საბიუჯეტო თანხებიც შესაბამისად ნაწილდება. მანვე აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან ნაკლებად ეწყობა ხელი სადადგმო პროექტებს, ამიტომ თეატრალური პროექტები ძირითადად თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება. შესაბამისად, გამორიცხულია მხოლოდ ერთ პროექტს მოხმარდეს საბიუჯეტო ასიგნებები და სხვა პროექტები დაუფინანსებელი დარჩეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგადად, გამოწვევაა დედაქალაქის არსებული ბიუჯეტის წლის განმავლობაში გადანაწილება, თუმცა არსებობს პრაქტიკა, რომ სატენდერო და სხვადასხვა დანაზოგების საფუძველზე წლის განმავლობაში ივსება დედაქალაქის სხვადასხვა საბიუჯეტო მუხლი, მათ შორის კულტურული პროექტების ნაწილშიც.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, კულტურის პროექტებისთვის 20 000 ლარიანი ზღვარი პრაქტიკით იქნა შემოღებული. როგორც წესი, კულტურული ღონისძიების სადადგმო ხარჯებისთვის აღნიშნული თანხა მოითხოვება ხოლმე და მოლოდინიც შესაბამისია. დედაქალაქის მერია ყოველწლიურად უჭერს მხარს სხვადასხვა ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად ელოდება დედაქალაქის მცხოვრებლები, თუმცა 2019 წელს შესაძლებელია ახალი ფესტივალებიც ჩატარდეს. დღეს სხდომაზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კი მეტად გამჭვირვალეს და საჯაროს ხდის კულტურული ღონისძიებების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესს.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა პროექტების კონტროლით, რაც გულისხმობს კონკრეტული პროექტის გაგრძელების, შეჩერების ან შეწყვეტის საკითხს მიღწეული შედეგის საფუძველზე. დეპუტატმა იკითხა, თუ სად შეიძლება ინახოს თბილისში ჩატარებული პროექტების შეფასება.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერია მონიტორინგს უწევს დედაქალაქის ბიუჯეტის თითოეული მუხლის ასიგნებათა ხარჯვას. კონკრეტულ სუბიექტთან, რომლის პროექტიც ფინანსდება, დედაქალაქის მერია დებს ხელშეკრულებას, გამოსცემს ბრძანებას და მას აკისრებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ამის შემდეგ, მერიის მონიტორინგის სამსახური, ასევე, პროექტებისა და პროგრამების სამსახურის წარმომადგენლები სავალდებულო წესით ესწრებიან

დაფინანსებულ ღონისძიებას, ადგენენ ოქმს, სადაც მითითებულია, თუ როგორ ჩატარდა ღონისძიება. პროექტის განხორციელების შემდეგ კი დაფინანსებულ სუბიექტს ევალება თბილისის მერიას წარუდგინოს ხარჯვის დოკუმენტები.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილის კითხვას და აღნიშნა, რომ საკითხი ეხება მოქალაქეების კმაყოფილების ინდექსს. კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დედაქალაქში გამართული კონკრეტული ღონისძიების კმაყოფილების ინდექსის დასადგენად ჩატარდა კვლევა, სადაც გამოვლინდა კმაყოფილების მაჩვენებლები.

კომისიის თავმჯდომარემ ქალაქ თბილისის კულტურის სტრატეგიის შესახებ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა. პირველ ეტაპზე გაკეთდა SWOT ანალიზი, მეორე ეტაპზე გამოკვლეულ იქნა მოსახლეობის მოსაზრებები და მოლოდინები დედაქალაქის კულტურასთან დაკავშირებით. მესამე ეტაპზე, 2019 წელს კი შეიქმნება აღნიშნული სტრატეგია.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური აპირებს დეტალურად აღწეროს და შეაფასოს კულტურული პროექტი.

ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ქალბატონ მაკა ნასრაშვილს მიმართა წინადადებით, რომ უმჯობესი იქნებოდა პროექტები არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეაფასონ, ვინაიდან პროექტების დედაქალაქის მერიის სამსახურების მიერ შეფასება ძველი მოდელია, რასაც გამოეხმაურა ბატონი ზაზა ცინაძე და განმარტა, რომ „ღია მმართველობის პლატფორმის" ფარგლებში არის ასეთი პროექტების შეფასებაზე მსჯელობა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრმა ბატონმა ერეკლე კუხიანძემ განმარტა, რომ დედაქალაქში თავისუფალი გარემოა, ყველას აქვს საშუალება შეაფასოს კონკრეტული ღონისძიებები. ამიტომ, ნებისმიერი სუბიექტის მიერ გაკეთებული შეფასება, ჩაითვლება ჩატარებული პროექტის შედეგის განსაზღვრებად. შესაბამისად, გაუგებარია ერთი პირისთვის შეფასების უფლების შეზღუდვა და მისი სხვისთვის მინიჭება.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის თქმით, ისეთი ფესტივალები, როგორიც არის მაგალითად, ელექტრონული მუსიკის ფესტივალები "Open Air" და "4GB Festival" თბილისის ახალგაზრდა მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია. ასევე მაგალითად, ლადო კახიძის „შემოდგომის თბილისი", "CinéDOC-Tbilisi", თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "Gift", რომლებიც მასშტაბური ღონისძიებებია და თბილისის მოსახლეობა ყოველთვის კმაყოფილია ამ ღონისძიებებით.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ თბილისის კულტურის სტრატეგიაში უნდა განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები, რათა ხსენებული ფესტივალები სტაბილურად ტარდებოდეს და ხელი ეწყობოდეს შემოქმედებით სფეროში დასაქმებული ადამიანებს, შედეგად კი მივიღოთ მაღალი ხარისხის ფესტივალები, რომელსაც სულ უფრო მეტი უცხოელი ტურისტი დაესწრება.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ხელმძღვანელი, ბატონი გაგა ჩხეიძე, დაინტერესდა, საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადა, რატომ შემცირდა პროექტის დაწყებამდე 40 კალენდარული დღიდან 20 დღემდე, რაზეც განემარტა რომ მიზანი მოქნილობა და დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობის ზრდა წარმოადგენდა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ პროექტის დაწყებამდე, თბილისის მერიაში განაცხადის 20 დღით ადრე შეტანით უფრო გაუმჯობესდება დაფინანსების განხორციელება. მისი თქმით, იგი მეექვსე წელია ჩართულია პროექტების შეფასების კომისიაში და პრაქტიკაში ძალიან ხშირად გამოვლენილა, რომ კონკრეტული ფესტივალის ჩატარებას აფერხებდა ცალკეული გარემოებები, მაგალითად, უცხოელი შემსრულებლის დაგვიანებული დასტური ფესტივალში მონაწილეობაზე.

კომისიის თავმჯდომარე დაეთანხმა ბატონ გაგა ჩხეიძეს, პროექტების გრძელვადიან და დეტალურ დაგეგმვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მისივე თქმით, აღნიშნული მიზნის მიღწევას დაეხმარება თბილისის კულტურის სტრატეგია.

ბატონმა გაგა ჩხეიძემ დამსწრეთ განუმარტა, რომ წლის ბოლოს, როდესაც თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტი დგება, მიზანშეწონილია გაიმართოს კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრები, სადაც დაზუსტდება გრძელდება თუ არა ყოველწლიურად გასამართი ფესტივალები და ღონისძიებები, რომელ ორგანიზაციას რა ოდენობის დაფინანსება დასჭირდება მომავალში, გაიზრდება თუ შემცირდება სამსახურის ბიუჯეტი და სხვა, რაც დაინტერესებულ მხარეებს შეუქმნის საერთო წარმოდგენას თბილისის ბიუჯეტზე.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ბატონ გაგა ჩხეიძეს და აღნიშნა, რომ მიმდინარე შეხვედრის ერთ-ერთი მიზანია წინადადებებისა და ინიციატივების მოსმენა კულტურის სფეროში მოღვაწე პირებისა და ორგანიზაციებისაგან.

სხდომაზე მოწვეულმა სტუმარმა მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მუნიციპალიტეტს სხვადასხვა პროექტებში გაწეული დახმარებისთვის. მანვე აღნიშნა, რომ თბილისის მასშტაბით ძალიან ბევრი ღონისიება ტარდება, თუმცა საზოგადოება სათანადოდ არ არის ინფორმირებული. რასაც გამოეხმაურა კომისიის თავმჯდომარე და განმარტა, რომ საპროექტო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მედია-გეგმისა და საზოგადოების ინფორმირების შესახებ და აღნიშნულს ითვალისწინებს მოქმედი განაცხადის ფორმაც.

სხდომის მიმდინარეობისას, კომისიის წევრებმა განმარტეს, რომ ისინი ძირითადად, დადებითად აფასებენ აღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტს, თუმცა გააჩნიათ შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ პროექტის დანართი 1-ის მე-2 მუხლი განისაზღვრება შემდეგნაირად:

„მუხლი 2. დაფინანსების მიმღები სუბიექტები
ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების **მიმღები სუბიექტები** არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული **იურიდიული პირები, რომელთა** მიერ წარმოდგენილი **პროექტებიც** ორიენტირებული იქნება კულტურის სფეროს განვითარებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაბამისი პროგრამებისთვის გათვალისწინებული პრიორიტეტების შესაბამისად.“

კომისიის წევრებმა განმარტეს, რომ აღნიშნული პუნქტის რედაქცია საჭიროებს ცვლილებას, ვინაიდან წესი ეხება მხოლოდ იურიდიულ პირებს, ხსენებულ მუხლში მრავლობითი ფორმის გამოყენების შემთხვევაში კი უნდა დასახელდეს დაფინანსების მიმღები ალტერნატიული სხვა სუბიექტიც. ამიტომ, კომისიის წევრებმა რეკომენდაცია გაუწიეს ხსენებული მუხლის ჩამოყალიბებას შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დაფინანსების მიმღები <u>სუბიექტი</u>
ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების <u>მიმღები სუბიექტი არის,</u> საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული <u>იურიდიული პირი, რომლის</u> მიერ წარმოდგენილი <u>პროექტიც</u> ორიენტირებული იქნება კულტურის სფეროს განვითარებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაბამისი პროგრამებისთვის გათვალისწინებული პრიორიტეტების შესაბამისად.“

2) ამავე დადგენილების პროექტის დანართი 1-ის, მე-3 მუხლის, 1-ლი ნაწილის მიხედვით:
„1. დაფინანსების მისაღებად **დაინტერესებულმა სუბიექტმა** წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი. საპროექტო განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთვოდეს სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“.

კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული ნაწილის რედაქცია შეიცავს ხარვეზს, ვინაიდან დაინტერესებული სუბიექტი ფართო მნიშვნელობის არის და მოიცავს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა წრეს, მაშინ როდესაც აღნიშნული დადგენილების პროექტი განკუთვნილია მხოლოდ იურიდიულ პირთათვის. შესაბამისად, განათლებისა და კულტურის კომისია ფიზიკური პირის მომართვიანობის გამორიცხვის მიზნით, რეკომენდაციას უწევს მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

„1. დაფინანსების მისაღებად, <u>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა</u> წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი. საპროექტო განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთვოდეს სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“

3) ამავე დადგენილების პროექტის დანართი 1-ის, მე-4 მუხლის, „ბ“ პუნქტის, „ბ.ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით:

„ბ. ა) საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობა; საგამომცემლო საქმიანობის შემთხვევაში, დაფინანსებას ექვემდებარება წიგნის გამოცემის ხელშეწყობა. წიგნის გამოცემის ხელშეწყობა ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურის, ურბანული არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მონოგრაფიების, კატალოგების, ვიზუალური მასალის, მხატვრული ტექსტის, ბიოგრაფიული ინფორმაციის და სხვა საკითხების შესახებ. აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს სასკოლო, საუნივერსიტეტო, ზოგადსაგანმანათლებლო **სახელმძღვანელოების, საბავშვო პოეზიის და პროზის,** ლექსების კრებულის, სანოტო კრებულის, ჟურნალ-გაზეთების, ალმანახის და სხვა პერიოდული გამოცემების დაფინანსებას“.

კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა საჭიროებს დაზუსტებას, ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით. კერძოდ, არსებული ჩანაწერი იძლევა პროზაული ნაწარმოების დაფინანსების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია რეკომენდაციას უწევს ნორმის შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბებას:

„ბ. ა) საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობა; საგამომცემლო საქმიანობის შემთხვევაში, დაფინანსებას ექვემდებარება წიგნის გამოცემის ხელშეწყობა. წიგნის გამოცემის ხელშეწყობა ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურის, ურბანული არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მონოგრაფიების,

კატალოგების, ვიზუალური მასალის, მხატვრული ტექსტის, ბიოგრაფიული ინფორმაციის და სხვა საკითხების შესახებ. აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს სასკოლო, საუნივერსიტეტო, ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოების, პროზაული, პოეტური და სანოტო კრებულების, საბავშვო პოეზიის და პროზის, ჟურნალ-გაზეთების, ალმანახის და სხვა პერიოდული გამოცემების დაფინანსებას".

4) ამავე დადგენილების პროექტის დანართი 1-ის, მე-6 მუხლის, მე-3 ნაწილი და დანართი 2-ის, მე-8 მუხლის, მე-3 ნაწილი ანალოგიური ფორმულირებით არის წარმოდგენილი:

„3. ხელშეკრულების **დადების, შეჩერების, შეცვლის** და **შეწყვეტის** წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით".

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულების დადება სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს ცვლილების შეტანას, შეჩერებას და საბოლოოდ - შეწყვეტას.

შესაბამისად, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია აღნიშული ნორმების შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას:

„3. ხელშეკრულების **დადების, შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის** წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით".

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თამარ ტალიაშვილმა, მაკა ნასრაშვილმა, ზაზა ცინაძემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ერეკლე კუხიანიძემ, ანა ლაშხმა, გაგა ჩხეიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ, კომისიის მიერ წარმოდგენილი დათქმებით.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა).

გადაწყვიტეს: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, შემდეგი დათქმებით:

დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დაფინანსების მიმღები სუბიექტი
ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტი არის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიერ წარმოდგენილი პროექტიც ორიენტირებული იქნება კულტურის სფეროს განვითარებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაბამისი პროგრამებისთვის გათვალისწინებული პრიორიტეტების შესაბამისად."

დანართი 1-ის, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1. დაფინანსების მისაღებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი. საპროექტო განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთვოდეს სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)."

დანართი 1-ის, მე-4 მუხლის, „ბ" პუნქტის, „ბ.ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ.ა) საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობა; საგამომცემლო საქმიანობის შემთხვევაში, დაფინანსებას ექვემდებარება წიგნის გამოცემის ხელშეწყობა. წიგნის გამოცემის ხელშეწყობა ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურის, ურბანული არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მონოგრაფიების, კატალოგების, ვიზუალური მასალის, მხატვრული ტექსტის, ბიოგრაფიული ინფორმაციის და სხვა საკითხების შესახებ. აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს სასკოლო, საუნივერსიტეტო, ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოების, პროზაული, პოეტური და სანოტო კრებულების, საბავშვო პოეზიის და პროზის, ჟურნალ-გაზეთების, ალმანახის და სხვა პერიოდული გამოცემების დაფინანსებას".

დადგენილების პროექტის დანართი 1-ის, მე-6 მუხლის, მე-3 ნაწილი და დანართი 2-ის, მე-8 მუხლის, მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციებით:

„3. ხელშეკრულების <u>დადების, შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის</u> წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით“.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი